ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. დ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.02.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 017/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 20 თებერვალს ს.ს.ი.პ „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას" საჩივრით მომართა ლ. დ-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის ნოემბერში მისმა ძმამ გ. დ-მ სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ თ. მ-ს. მისი ძმის ქორწინება ოფიციალურად შეწყვეტილი არ იყო, მაგრამ ფაქტობრივად ოჯახთან ერთად არ ცხოვრობდა და სურდა საერთო ბინიდან, სადაც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა, თავისი წილის გამოყოფა, რომელსაც შემდეგ იმ შვილს დაუტოვებდა, ვინც მასზე იზრუნებდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მის ძმას საადვოკატო მომსახურების თანხის სახით წინასწარ გამოართვა 1000 (ათასი) ლარი, შემდეგ 2016 წელს ისევ გამოართვა 1200 (ათას ორასი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მის ძმას ჰპირდებოდა, რომ ბინიდან გამოაძევებდა მის ცოლ-შვილს და ბინას მას გადასცემდა. საქმის გაჭიანურების მიზეზად ადვოკატი ასახელებდა ბინის აზომვითი ნახაზის გასაკეთებლად კლიენტის ოჯახის წევრების ბინაში არ შეშვებას.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დამატებით მოითხოვა 1000 (ათასი) ლარი - საქმის საჭიროებისათვის. საჩივრის ავტორის დამ საჩივრის ავტორის თანხა ადვოკატს მეზობლის გ. კ.-ს დახმარებით გაუგზავნა ხარაგაულის რაიონიდან, საბანკო ანგარიშსწორების გზით, რადგან მისი ძმა ნერვიულობის ნიადაგზე ლოგინად ჩავარდა და შემდეგ გარდაიცვალა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის ნოემბრიდან ის იმყოფება თბილისში, ადვოკატს უკავშირდება ტელეფონით და ადვოკატი იმედს აძლევს, რომ მისი ძმის ცოლ-შვილის შემდეგ ძმის მემკვიდრე არის თავად და ძმის ბინიდან წილი ეკუთვნის. ამ წილის მიღებაზე მან ადვოკატს უარი უთხრა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას თავადაც ჰქონდა სამართლებრივი პრობლემა, რომელიც უნდა მოეგვარებინა ადვოკატ თ. მ-ს. კერძოდ, მას არ ჰყავდა თავისი შვილი და იშვილა ძმისშვილი. 1992 წელს მასზე გააკეთა თავისი ბინის პრივატიზაცია. ამ ფაქტიდან რამდენიმე თვის შემდეგ ის ღამით მასთან ჩხუბით მივარდა და თხოვდა ბინის დაცლას. ამის შემდეგ მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილების გაუქმება, ასევე ძმისშვილი ამოწერა თავისი ბინიდან. სასამართლომ მიიღო მისი სასარგებლო გადაწყვეტილება, რომელიც მისმა ძმისშვილმა გაასაჩივრა და შედეგად თაღლითურად მიიღო მისი ბინის ნახევარი.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ თ. მ-ს სთხოვა იმ თანხაში, რომელიც მისი ძმის საქმეზე გადასცა, დაებრუნებინა მისთვის მისი ძმისშვილის მიერ თაღლითურად მითვისებული მისი ბინის ნახევარი, გაეუქმებინა ბინის პრივატიზაცია და ამოეწერა ის მისი ბინიდან. ადვოკატი ამ ყველაფრის გაკეთებას დაპირდა, მაგრამ არ პასუხობს მის ზარებს, სახლში მისულს კი კარს არ უღებს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ითხოვს ადვოკატმა უკან დაუბრუნოს აღებული საადვოკატო მომსახურების თანხა ან სისრულეში მოიყვანოს მისი ბინის საკითხი. ასევე დაუბრუნოს მისი საბუთები.

1.10 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 04 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ ადვოკატმა მას დაუბრუნა მისი ძმის საქმის მასალები.

2. საჩივრის ავტორის მოწმის პოზიცია:

2.1 2017 წლის 04 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ხ. კ-მ, რომელიც არის ლ. დ-ს დისშვილი, განმარტა, რომ ის პირადად რამდენიმეჯერ შეხვდა ადვოკატ თ. მ-ს.

2.2 მოწმის განცხადებით, ბიძამისი - გ. დ რაიონიდან ჩამოდიოდა მათთან ადვოკატთან შესახვედრად. მას ახსოვს სულ 3 შეხვედრა. ბიძამისმა ადვოკატს გადასცა საქმისათვის საჭირო საბუთები - კონკრეტულად ეს რა საბუთები იყო, მან არის იცის.

2.3 მოწმის განცხადებით, ის მუშაობდა და ამიტომ ადვოკატთან საუბარს არ დასწრებია. ის ასევე არ შესწრებია ადვოკატისათვის თანხის გადაცემის ფაქტს, რადგან თანხის ნაწილი გადაიხადა ბიძამისმა რაიონში, ხოლო მეორე ნაწილი საბანკო ანგარიშსწორების გზით ჩაურიცხეს ადვოკატს.

2.4 მოწმის განმარტებით, ის შეესწრო ფაქტს, რომ ასოციაციაში საჩივრის შემოტანის შემდეგ ადვოკატმა ლ. დ-ს დაუბრუნა საქმის მასალები.

2.5 მოწმის განცხადებით, ადვოკატი ბიძამისს ატყუებდა. ის თავად ურეკავდა ადვოკატს, რადგან ბიძას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა და სთხოვდა, რომ შეხვედროდა ბიძამისს და მიეტანა მისთვის საბუთები. ადვოკატი რეგიონიდან ჩამოსულ გ. დ.-ს კვირეების განმავლობაში ალოდინებდა და არ ეხმიანებოდა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2017 წლის 13 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა თ. მ-მ განმარტა, რომ ლ. დ-თან საქმესთან დაკავშირებით მას არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მისი კლიენტი იყო ლ. დ-ს ძმა გ. დ, რომლის საქმეც მან აწარმოა სასამართლოსა და გამგეობაში. გ. დ-ის ოჯახმა აზომვითი ნახაზის გასაკეთებლად ის არ შეუშვა ბინაში. მას ამის გამო გ. დ-ის შვილებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა. მან საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან მისი კლიენტი გარდაიცვალა.

3.2 ადვოკატ თ. მ-ის განცხადებით, ლ. დ ცხოვრობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე და მის ბინაში ხვდებოდა კლიენტს, რაიონიდან ჩამოსულ ლ. დ-ს ძმას - გ. დ-ს და ასე გაიცნო ლ. დ.

3.3 ადვოკატის განცხადებით, ლ. დ-მ მას უთხრა, რომ ძმისშვილმა მას წაართვა ბინა. ადვოკატის განმარტებით, მან გამოართვა საბუთები, გადახედა და ეს საქმე უკვე იყო დამთავრებული, ხანდაზმული. მან ეს აუხსნა ლ. დ-ს, მისთვის საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია. ლ. დ-ს საჩივარი აქვს შეტანილი ხარაგაულისა და ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში, რომ თითქოს მისმა ძმამ ბინა მას მისცა. ძმის გარდაცვალების შემდეგ ლ. დ-მ ადვოკატს სთხოვა, რომ წასულიყო ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში, რადგან მას სხვა პროცესები ჰქონდა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, ლ. დ.-ს დაეთანხმა და უთხრა, რომ როდესაც მოხვდებოდა ზესტაფონში, მის საქმეზეც მივიდოდა პოლიციის განყოფილებაში ინფორმაციის გასაგებად.

3.4 ადვოკატის განცხადებით, მას ლ. დ-გან არანაირი თანხა არ აუღია, არანაირ ხელშეკრულება არც ზეპირი და არც წერილობითი ლ. დ-თან არასოდეს გაუფორმებია არც საადვოკატო და არც იურიდიული მომსახურების შესახებ, ასეთი ხელშეკრულება ან შეთანხმება ბუნებაში არ არსებობს.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი თ. მ არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართლი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

4.2 ლ. დ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 20 თებერვალს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015 – 2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტების საფუძველზე.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სამართლებრივი დახმარება არ გაუწია მის ძმას, ატყუებდა. ძმის გ. დ-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ძმის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხის 2200 (ორი ათას ორასი) ლარისა და ძმის საქმეზე მის მიერ გადაცემული თანხის 1000 (ათასი) ლარის სანაცვლოდ ადვოკატი შეპირდა იურიდიული მომსახურების გაწევას მის პირად საქმეზე, რაც ადვოკატმა არ განახორციელა.

6.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად." ხოლო ამავე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ დაინტერესებული პირის სახელით საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე".

6.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. "

6.4 საპროცესო კოლეგიამ არსებული ფაქტობრივი და დოკუმენტური გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატი თ. მ. სამართლებრივ დახმარებას უწევდა საჩივრის ავტორის გარდაცვლილ ძმას, გ. დ.-ს. საჩივრის ავტორს კომისიისათვის არ მოუწოდებია ინფორმაცია თავისი ძმის უფლებამონაცვლის შესახებ.

6.5 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის

ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი თ. მ არასოდეს ყოფილა ლ. დ-ს წარმომადგენელი. მომჩივანის პრეტენზიასთან დაკავშირებით ადვოკატ თ. მ-ს არ გააჩნია პროფესიული ვალდებულებები, ხოლო მისი კლიენტის გ. დ-ის უფლებამონაცვლის შესახებ კომისიისათვის ცნობილი არ არის.

6.6 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეისწავლა საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის პროფესიული ქცევით უკმაყოფილო პირის უფლებამოსილება ადვოკატის მიმართ გამოხატულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ლ. დ არ არის უფლებამოსილი პირი აღნიშნული პრეტენზიით მიმართოს ეთიკის კომისიას ადვოკატის თ. მ-ის წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით; მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №017/17 ადვოკატ თ. მ-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/